თბილისის ზღვის ეკოლოგია და სასმელი წყლის პრობლემები

ლელა ფერაძე

ელ-ფოსტა: lela.peradze808@ens.tsu.edu.ge
გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ი.ჭავჭავაძის გამზ.3, თბილისი, 0179, საქართველო.

საზოგადოების ფუნქციონირებისთვის ერთ-ერთ მთვარ და მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს სასმელი წყალი. სწორედ ამიტომ დიდი განაშენიანების ქალაქები საზრდოობენ წყალსატევებით. ქალაქ თბილისის ერთ-ერთი წყალმომარაგების ობიექტი გახლავთ თბილისის ზღვა, რომელიც ამასთან ერთად ითავსებს სხვა ფუნქციებს, როგორიცაა ირიგაცია ჰიდროენერგეტიკა და რეკრეაცია. რეკრეაციული ფუნქციიდან გამომდინარე თბილისი ზღვა ანთროპოგენური დაბინძურების მაგალითია, რაც უარყოფითად აისახება წყლის ხარისხზე და საჭიროებს მონიტორინგს. გარდა უშუალოდ წყალსატევში არსებული წყლის ხარისხის კონტროლისა ასევე მნიშვნელოვანია უშუალოდ წყლის გაწმენდის მეთოდების სწორი გამოყენება, რათა საფრთხე არ შეექმნას ადამიანების ჯანმრთელობას.

ნაშრომში განხილულია მოსახლეობისთვის მოწოდებული სასმელი წყლის ხარისხი. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მას შემდეგ გახდა, რაც გამძაფრდა წყალსატევის დაბინძურება და ასევე მოსახლეობაში გახშირდა კითხვები წყლის ქლორირებასთან დაკავშირებით. ნაშრომში გაცნობით თბილისი ზღვის ეკოლოგიურ მდგომარეობას ასევე მოცემულია მეთოდები თუ როგორ შეიძლება მოხდეს სასმელი წყლის გაწმენდა.